საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის

ბრძანება №66/ნ

2025 წლის 13 აგვისტო

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების დამტკიცების შესახებ

„სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 დეკემბრის №572 დადგენილებით დამტკიცებული „აღმასრულებელი ხელისუფლების, ზოგიერთი საჯარო დაწესებულების ემბლემის გამოსახვის წესის“ შესაბამისად **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოები:

ა) ოფიციალური კორესპონდენციის/წერილის ბლანკი (ქართულენოვანი ვერსია), ამ ბრძანების დანართი №1-ის შესაბამისად;

ბ) ოფიციალური კორესპონდენციის/წერილის ბლანკი (ინგლისურენოვანი ვერსია), ამ ბრძანების დანართი №2-ის შესაბამისად;

გ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბლანკი, ამ ბრძანების დანართი №3-ის შესაბამისად.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების,
მეცნიერებისა და ახალგაზრდობის **გივი მიქანაძე**
მინისტრი